

საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირის ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება / პირობები

Agreement / Terms on Health and Accident Insurance for Foreigners and Persons without Citizenship on the Territory of Georgia

WTIC/001/26

WTIC/001/26

1. განმარტებები

- 1.1. **სადაზღვევო პოლისი** – მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ. სადაზღვევო პოლისი გადაეცემა დამზღვევს/დაზღვეულს ელექტრონული დოკუმენტის ან/და მატერიალური ფორმის სახით;
- 1.2. **დაზღვევის ხელშეკრულება** - სადაზღვევო პოლისის, განაცხადის (ელექტრონული ან მატერიალური ფორმის სახით) და ამ პირობების ერთობლიობა;
- 1.3. **დაზღვევის განაცხადი** - დაზღვევის ხელშეკრულების დადების მიზნით მზღვეველის მიერ შემუშავებული და დამზღვევის / დაზღვეულის / უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ელექტრონული წესით შევსებული ინფორმაცია - დაზღვევის მოთხოვნა.
- 1.4. **მზღვეველი** - სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას;
- 1.5. **დამზღვევი** - პირი, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის სადაზღვევო პრემიას დაზღვეულის სასარგებლოდ; თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული;
- 1.6. **დაზღვეული** – საქართველოს ტერიტორიაზე დროებით მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მოგზაურობს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანი და/ან ტურისტული მიზნით და რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა;
- 1.7. **უცხოელი** - პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი;
- 1.8. **მოქალაქეობის არმქონე პირი** - პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ, საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 1.9. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების და/ან კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 1.10. **სადაზღვევო პერიოდი** - სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადა, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია;
- 1.11. **დაზღვევის ტერიტორია** – საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა;
- 1.12. **სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხის ოდენობა, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს;
- 1.13. **სადაზღვევო რისკი** - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.
- 1.14. **სადაზღვევო დაფარვა** - დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურებას დაქვემდებარებული მომსახურება/სადაზღვევო რისკი;

1. Definitions

- 1.1. **Insurance Policy** - a document confirming insurance issued by the insurer, a certificate of the insurance contract. The insurance policy is provided to the Insured/Policyholder in the form of an electronic document and/or hard copy;
- 1.2. **Insurance Agreement** - a combination of the Insurance Policy, Application (in electronic or material form) and these conditions;
- 1.3. **Insurance Application** – Information prepared by the insurer and completed electronically by the policyholder / the insured / or an authorized representative for the purpose of concluding an insurance contract – an insurance request.
- 1.4. **Insurer** – JSC Prime Insurance engaged in insurance activities in accordance with the legislation of Georgia;
- 1.5. **Insured** - a person who has entered into an insurance agreement with the insurer and pays the insurance premium in favor of the policyholder; Unless otherwise provided by the insurance policy, the insured may be policyholder at the same time;
- 1.6. **Policyholder** – a citizen of a foreign country temporarily staying in the territory of Georgia, who travels to the territory of Georgia for business and/or tourist purposes and for whom insurance is carried out;
- 1.7. **Foreigner (foreign person)** – a person who is not a citizen of Georgia and a stateless person having a status in Georgia;
- 1.8. **Persons without Citizenship** – a person who is not recognized by either state as its citizen according to its legislation;
- 1.9. **Beneficiary** – a person, authorized by the Insurance Contract and/or Legislation to receive insurance indemnity;
- 1.10. **Insurance period** - The time interval specified in the insurance policy during which the insurance is valid;
- 1.11. **Insurance Area** - This insurance is valid only on the territory of Georgia, except for the occupied territories;
- 1.12. **Insurance Premium** - The amount payable by the Insured/Policyholder specified in the insurance policy;
- 1.13. **Insurance Risk** – An event that contains the characteristics of possibility and chance of occurrence, and against which insurance is provided.
- 1.14. **Insurance Coverage** – Services or insurance risks subject to indemnification under the terms of the insurance contract.

1.15. **სადაზღვევო თანხა** – პოლისით განსაზღვრული თანხა (მაქსიმალური ლიმიტი), რომლის ფარგლებშიც მზღვეველი იღებს პასუხისმგებლობას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულზე ან მოსარგებელზე; კონკრეტული მომსახურების სახეობისათვის პოლისით განსაზღვრულია ქველიმიტი (ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი), რომლის ფარგლებშიც მზღვეველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს/მოსარგებელს ხარჯები ყოველი და თითოეული შემთხვევისათვის;

1.16. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხის ოდენობა, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი უხდის დამზღვევს / დაზღვეულს / მოსარგებელს წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების და მისი დანართების პირობების შესაბამისად;

1.17. **სადაზღვევო შემთხვევა** – წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევები (მოვლენა), რომელთა დადგომისას წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

1.18. **უბედური შემთხვევა** – გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალ(ებ)ის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა ან გარდაცვალება;

1.19. **პროვაიდერი/კონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულება** - მზღვეველთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის მქონე სამედიცინო დაწესებულება ან/და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა;

1.20. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

2. დაზღვევის საგანი

2.1. დაზღვეულის საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას, ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. დაზღვევით დაფარული სამედიცინო მომსახურება და მათი განმარტებები:

3.1. წინამდებარე დაზღვევით დაფარული მომსახურებები მითითებულია პოლისში.

3.2. დაზღვევით გათვალისწინებული მომსახურებების განმარტებები:

3.2.1. **24/7 ცხელი ხაზი** - ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო სადაზღვევო კონსულტაციას, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, სრულ და ოპერატიულ ინფორმაციას პროვაიდერების და დაზღვევის პირობების შესახებ.

1.15. **Sum Insured** - The amount (Maximum Limits) specified in the policy, which is the maximum amount of insurance reimbursement by insurer to the policyholder or beneficiary; For a specific type of service, the policy defines a sublimit (maximum limit of compensation), within which the insurer is responsible to issue reimbursement to the policyholder/beneficiary for each and every loss;

1.16. **Insurance Indemnity** – The amount payable by the insurer to the policyholder / the insured / the beneficiary upon the occurrence of an insured event, in accordance with the terms of the present insurance contract and its annexes;

1.17. **Insurance Event** - Medical care and repatriation expenses caused by sudden illness or accident during the insurance policy term;

1.18. **Personal Accident** - Unforeseen, unexpected event, caused by the influence of visible external force(s) (physical, mechanical, thermal, chemical), which resulted in damage to the insured's health, disability or death;

1.19. **Provider / Contractor Clinic / Medical Institution** - A medical institution or Emergency Service that has a contractual relationship with the Insurer and has a relevant activity permit.

1.20. **Legislation** – The applicable legislative and subordinate normative acts of Georgia, as well as international treaties and agreements incorporated into the normative system of Georgia.

2. Subject Matter

2.1. Health and accident insurance, in the course of the Insured's movement within the territory of Georgia, shall be governed by and subject to the provisions of this Agreement together with its annexes.

3. Covered Medical Services and Definitions:

3.1. This insurance covers the services as described by the Insurance Policy.

3.2. Definitions of Covered Services:

3.2.1. **24-hour hotline** – Provides round-the-clock telephone insurance consultation to resolve issues related to the insurance under this Agreement. Organization of medical services; Complete and operational information about providers and insurance Terms.

3.2.2. სასწრაფო სამედიცინო დახმარება - ითვალისწინებს გადაუდებელი სამედიცინო ჩვენებით სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ გაწეულ სამედიცინო მომსახურებას, აგრეთვე, დაზღვეულის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნების მიზნით, შემთხვევის ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირებასა და რეფერალს..

3.2.3. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - ითვალისწინებს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული იმ აუცილებელი სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას, რომელთა 24 საათზე მეტი გადავადება გამოიწვევს დაზღვეულის სიკვდილს, უნარშეზღუდულობას, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას და რომელიც მოითხოვს დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებაში 1 (ერთ) საწოლ დღეზე ნაკლები დროით დაყოვნებას.

3.2.4. გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება/ინტენსიური თერაპია ითვალისწინებს: უბედური შემთხვევის ან უეცარი ავადმყოფობის შედეგად იმ აუცილებელი სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის ისეთ გაუარესებასთან, რომლის დროსაც, სამედიცინო მომსახურების 24 საათზე მეტი დროით გადავადება გამოიწვევს დაზღვეულის გარდაცვალებას, უნარშეზღუდულობას, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას და რომელიც მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებაში ერთ საწოლ დღეზე მეტი დროით დაყოვნებას. **გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება/ინტენსიური თერაპიის** ხარჯები მზღვეველის მიერ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში ყოველ საწოლდღეზე არაუმეტეს 200 (ორასი) ევროს ოდენობით დაზღვეულის მდგომარეობის სტაბილიზაციამდე;

3.2.5. გადაუდებელი ვაქცინაცია – გადაუდებლად საჭირო ანტიგიურზინის, ანტიტეტანური და ანტირაბიული პირველადი ვაქცინაცია, რომელიც სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურებას.

3.2.6. ძირითადი მედიკამენტები აფთიაქში - ითვალისწინებს გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისას საჭირო, ექიმის მიერ დანიშნული, მედიკამენტების ხარჯების მზღვეველის მიერ ანაზღაურებას სადაზღვევო პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში.

3.2.7. გადაუდებელი სტომატოლოგია ითვალისწინებს სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევის დროს პირველად სტომატოლოგიურ დახმარებას – კბილის მწვავე ტკივილის გაყუჩება, არხის გახსნა, დრენირება, კბილის ექსტრაქცია და ექსტრაქციის შემდგომი სისხლდენის შეჩერება, მასთან დაკავშირებულ ანესთეზია და დიაგნოსტიკურ ღონისძიებები (დენტოგრამა, ვიზიო).

3.2.8. სასწრაფო დახმარების ბრიგადის მომსახურება - ითვალისწინებს გადაუდებელ მდგომარეობაში მყოფი დაზღვეულისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებას და მის

3.2.2. Emergency Medical Care - provides medical services provided by the emergency medical team in response to urgent medical indications, as well as transportation and referral of the insured from the scene to a medical facility for the purpose of preserving vital functions.

3.2.3. Urgent Out-patient Care - provides for: reimbursement of the necessary medical expenses related to the deterioration of the health condition of the insured, the delay of which by more than 24 hours will lead to the death, disability, or significant deterioration of the health condition of the insured and which requires a delay of less than 1 (One) Bed Day in the Medical Institution of the insured.

3.2.4. Urgent In-patient Care / Intensive Care shall cover: reimbursement of necessary medical expenses arising from an accident or sudden illness, associated with such deterioration of the Insured’s health condition that postponement of medical services for more than 24 hours would result in the Insured’s death, disability, or significant worsening of health, and which requires hospitalization for more than one bed-day in a medical institution. Expenses for Emergency Hospital Services / Intensive Care shall be reimbursed by the Insurer within the limits specified in the insurance policy, not exceeding EUR 200 (two hundred euros) per bed-day, until stabilization of the Insured’s condition;

3.2.5. Emergency Vaccination – anti-gyursin, anti-tetanus and anti-rabies first aid vaccinations urgently needed during the insurance period, and that is covered by the Insurer.

3.2.6. Essential Medicines at Pharmacy Stores - provides for the reimbursement of the costs of medicines prescribed by a doctor for Outpatient Servies within the limit specified in the policy.

3.2.7. Emergency Dental Services - provides first aid in case of emergency - Anesthesia of severe toothache, opening channels, draining, tooth extraction and post-extraction bleeding, related anesthesia and diagnostic procedures (dental scanning, visio) at any dental facility with the appropriate permit.

3.2.8. Emergency / Ambulance Crew Service - provides for the calling of an emergency medical service for the insured in an emergency situation and reimbursement of transportation costs

მიერ იმ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირას, სადაც შესაძლებელია მისთვის ადეკვატური დახმარების გაწევა.

3.2.9. სამედიცინო ევაკუაცია – ითვალისწინებს დაზღვეულის (ავადმყოფი, დაშავებული) ავტო ან ავია ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას შემთხვევის ადგილიდან ან სამედიცინო დაწესებულებიდან თბილისის/ქუთაისის/ბათუმის საერთაშორისო აეროპორტამდე ან სასაზღვრო პუნქტამდე პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში.

3.2.10. რეპატრიაცია - ითვალისწინებს დაზღვეულის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის განმავლობაში, უბედური შემთხვევის ან უეცარი ავადმყოფობის შედეგად გარდაცვალებისას ცხედრის ტრანსპორტირებას. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მზღვეველის მიერ ანაზღაურდება ხარჯები, რომლებიც მოიცავს საქართველოდან შესაბამისი ქვეყნის უახლოეს საერთაშორისო აეროპორტამდე ან ამ ქვეყნის უახლოეს სასაზღვრო პუნქტამდე. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვევის პოლისში მითითებული ლიმიტის და პირობების შესაბამისად.

3.2.11. დამატებითი ბენეფიტები – ითვალისწინებს ფასდაკლებას პროვაიდერ/კონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებებში ან/და სხვა მომსახურებას, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N 1-ით და დანართი N 2-ით.

to the nearest medical Institution where adequate assistance can be provided.

3.2.9. Medical evacuation – provides reimbursement of the costs of car or air transportation of the insured (sick, injured) from the scene of the accident or medical facility to Tbilisi/Kutaisi/Batumi International Airport or the border point within the limit specified in the policy.

3.2.10. Repatriation - Includes the costs of repatriation of a corpse in case of death due to accident or sudden illness during the stay of a foreign and non-resident person on the territory of Georgia. In the event provided for in this article service covers charges of repatriation from Georgia to the nearest international airport or the nearest border point of the country. The reimbursement is made within the limits and conditions specified in the insurance policy.

3.2.11. Additional benefits – Provides discounts in provider/contractor medical institutions and/or other services as stipulated under Annex No.1 and Annex No.2 to this Agreement.

4. გამონაკლისები - შემთხვევები, რომლებსაც მზღვეველი უპირობოდ არ აანაზღაურებს

4.1. ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქვემოთ მითითებული სადაზღვევო შემთხვევები და მათთან დაკავშირებული ხარჯები:

4.1.1. დაზღვევის ძალაში შესვლამდე დამდგარი შემთხვევები;

4.1.2. შესაბამისი საქმიანობის უფლების არმქონე დაწესებულებაში მკურნალობისა და გამოკვლევის ნებისმიერი ხარჯი, კერძო პირთან ჩატარებული მკურნალობის, ექსპერიმენტული მკურნალობის, არატრადიციული მედიცინის (აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, მანუალური თერაპია და სხვა), თვითმკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;

4.1.3. დაზღვეულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, თვითდაშავებით, თვითმკვლელობის მცდელობით, განზრახ ან/და უხეში გაუფრთხილებლობით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან სხვა ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ დამდგარ სადაზღვევო შემთხვევების, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიისა და მათი გართულებების დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხარჯები.

4.1.4. თავისუფლების აღკვეთის პერიოდში დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

4.1.5. მღვიმეებისა და გამოქვაბულების გამოკვლევასთან, აგრეთვე ძლიერ ფეთქებად ნივთიერებათა განადგურებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევების ხარჯები;

4. Exclusions from Insurance Coverage - Events that the insurer will not reimburse

4.1. The following events and related costs are not subject to reimbursement:

4.1.1. Claim arises before the insurance takes effect;

4.1.2. Expenses related to treatment and examination in a non-licensed facility, treatment by the private person, experimental treatment, non-traditional medicine (acupuncture, homeopathy, manual therapy, etc.), self-treatment costs;

4.1.3. Insured / Policyholder 's illegal actions, self-harm, suicide attempt, intentional and / or gross negligence, addiction; Insurance Events caused due to the fact that the Insured / Policyholder is under the influence of alcohol, drug, psychotropic or other toxic substances; Costs of diagnosis and treatment of alcoholism, drug addiction and their complications.

4.1.4. Medical expenses related to the insurance event during the period of imprisonment;

4.1.5. Costs of insurance events related to the investigation of caves and caverns, as well as participation in the destruction of highly explosive substances;

4.1.6. ეპიდემიებით, პანდემიებით, გარემოს დაბინძურებით, რადიქტიური დასხივებით, სტიქიური უბედურებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

4.1.6. Expenses for medical care related to epidemics, pandemics, environmental pollution, radiation, natural disasters;

4.1.7. პროფესიულ და სარისკო სპორტის სახეობებში მონაწილეობისას, მეჯიბრისას ან/და წვრთნებისას (ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა, სათხილამურო სპორტი, ავტორბოლა, მოტორბოლა, ცხენოსნობა, ორთაბრძოლა, სნოუბორდი, წყალქვეშ ყვინთვა, დელტაპლანითა და პარაშუტით ხტომა და სხვა აქტივობა,, რომელიც მოიცავს დაშავების მომატებულ რისკს) დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები.

4.1.7. Expenses related to events occurring during participation in professional and high-risk sports, in competition and/or training (including mountaineering, rock climbing, skiing, auto racing, motorcycle racing, horseback riding, martial arts, snowboarding, scuba diving, hang-gliding and parachuting, and other activities involving increased risk of injury);

4.1.8. თვითმფრინავზე ასვლის, თვითმფრინავიდან ჩამოსვლის ან მასში ყოფნისას მიღებული დაზიანების ხარჯები;

4.1.8. Expenses for boarding, disembarking or being injured while on board;

4.1.9. ომის, საომარი მოქმედების, უცხო ქვეყნის ჯარის შეჭრის (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომის, ამბოხების, სამოქალაქო უწყისრიგობების, რევოლუციის, სამხედრო გადატრიალების ან ხელისუფლების უზურპაციის, ტერორისტული აქტების დროს მომხდარი უბედური შემთხვევებით გამოწვეული ხარჯები;

4.1.9. Expenses incurred during war, hostilities, foreign invasion (whether or not war is declared), civil war, insurrection, civil unrest, revolution, military coup or usurpation of power, terrorist acts;

4.1.10. ქრონიკული დაავადებები და მათი გამწვავებები ან მოგზაურობამდე გამოვლენილი დაავადებები და მათი გართულებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრიტიკული მდგომარეობების დროს დაზღვეულის სიცოცხლის გადასარჩენად საჭიროა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. დაზღვეულის სიცოცხლის გადასარჩენად მიმართული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ (არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა) დაზღვეულის მკურნალობის შემდგომი ხარჯები ან/და რეპატრიაციის ხარჯები ანაზღაურებას არ ექვემდებარება;

4.1.10. Chronic diseases and their exacerbations or diseases identified before the trip and their complications, except when emergency medical care is required to save the life of the Insured / Policyholder in critical situations. After the discovery of emergency medical care aimed at saving the life of the Insured / Policyholder (not more than 7 calendar days), the further costs of the Insured / Policyholder 's treatment and / or repatriation costs are not reimbursed;

4.1.11. კარდიოქირურგია, ტრანსპლანტაცია, ენდოპროთეზირება და მასთან დაკავშირებული ხარჯები თანდაყოლილი და გენეტიკური დაავადებების, აგრეთვე მათი გართულებების, დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხარჯები;

4.1.11. Cardiac surgery, transplantation, endoprosthesis and related costs Costs of congenital and genetic diseases, as well as their complications, diagnosis and treatment;

4.1.12. აივ-ინფექციის, შიდსის, ყველა ტიპის ქრონიკული ჰეპატიტის, შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის, თირკმელების ქრონიკული უკმარისობის, ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობის და გართულებების, გამწვავებების და მათთან დაკავშირებული ხარჯები;

4.1.12. Costs of HIV, AIDS, all types of chronic hepatitis, any form of diabetes mellitus, chronic renal failure, diagnosis, treatment and complications of oncological diseases, causes and associated costs;

4.1.13. ნებისმიერი იმპლანტის, პროტეზის და მაკორეგირებელი მოწყობილობის ხარჯები, ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის/ავტოტრანსპლანტაციის ხარჯები;

4.1.13. Costs of any implant (except stent), prosthesis and corrective device, costs of organ and tissue transplantation / autotransplantation;

4.1.14. საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გაგზავნის და კვლევის ხარჯები; ექსკლუზიური მომსახურებები:

4.1.14. Expenses for sending and researching research materials taken in Georgia abroad; Exclusive services: non-standard / over-standard medical services, non-standard ward, hired doctor;

არასტანდარტული/ზესტანდარტული სამედიცინო მომსახურება, არასტანდარტული პალატა, აყვანილი ექიმი;

4.1.15. ორსულობა/მშობიარობა და მათი გართულებები, გარდა უბედური შემთხვევით გამოწვეული ორსულობის შეწყვეტისა.

4.1.15. Pregnancy / childbirth and their complications other than accidental termination of pregnancy.

4.1.16. სხვა პროგრამით დაფინანსებული მომსახურების ღირებულება;

4.1.17. მზღვევლთან შეთანხმების გარეშე მიღებული მომსახურების ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა თუ ასეთი შეუტყობინებლობა არ იწვევს მზღვეველის ხარჯების ზრდას.

4.1.18. რეპატრიაციის ხარჯები, რომელიც მოჰყვას: დაზღვეულის საქართველოში მკურნალობის მიზნით გამგზავრებას, ან მოგზაურობამდე არსებული დაავადებების შედეგად გარდაცვალებას.

4.1.16. Cost of services funded by other program / insurance;

4.1.17. Expenses for services obtained without the insurer's consent, except in cases where such failure to notify does not result in an increase of the insurer's costs.

4.1.18. Repatriation costs, as follows: Travel of the Insured / Policyholder to Georgia for treatment, or death due to pre-travel illness, or death due to Covid-infection.

5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მომსახურების მიღების წესები:

5.1. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს ყველა საჭირო და ზუსტი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის აღიარებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენის მიზნით.

5.2. მზღვეველი თავისუფლდება ყოველგვარი ანაზღაურების ვალდებულებისაგან დაზღვეულის მიერ რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტის მცდარად წარმოდგენის, არასწორი აღწერის ან დაფარვისა და ამ პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში.

5.3. მზღვეველის მიერ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდის ვადის ამოწურვამდე დამდგარი შემთხვევები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი შემთხვევა გრძელდება სადაზღვევო პერიოდის ვადის ამოწურვის შემდეგ, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისაგან სადაზღვევო პერიოდის ამოწურვის შემდგომ გაწეულ ფაქტობრივ მომსახურების ხარჯებზე.

5.4. **24/7 ცხელი ხაზი** ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო სადაზღვევო კონსულტაციას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს ყველა საჭირო და ზუსტი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის აღიარებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენის მიზნით.

5.4.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული/სხვა უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა (გარდა ობიექტური/საპატიო გარემოებების გამო შეტყობინების დაგვიანებისა), უკავშირდება მზღვეველის საინფორმაციო სამსახურს/24/7 ცხელი ხაზს ნომერზე: **+(995 32) 2 24 15 24; +(995 32) 2 24 15 25**, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის პირთან მის დაკავშირებას ან შემდგომი მომსახურების ორგანიზებას; შეტყობინების ან მზღვევლთან შეთანხმების გარეშე მიღებული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე მზღვეველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი.

5. What to do when the insurance accident occurs:

5.1. The Policyholder/insured is obliged to provide the insurer with all the necessary and reliable information to define the fact of an insured event and determine the amount of insurance compensation.

5.2. The Insurer is released from any obligation to pay damages in the event of misleading, misrepresentation or concealment by the Policyholder of any important facts, as well as in the event of a breach of obligations under these terms and conditions.

5.3. Subject to the terms stipulated in this agreement Insurance covers events/claims occurred before the expiration of the Insurance Policy validity period. In the event that the incident occurring during the insurance period continues after the expiration of the insurance period, the insurer is released from the obligation to pay for the actual service costs incurred after the expiration of the insurance period.

5.4. The **24/7 Hotline** provides round-the-clock telephone consultation on insurance and resolution of issues related to the insurance provided for in this agreement. The policyholder/insured is obliged to provide the insurer with all the necessary and reliable information to define the fact of an insured event and determine the amount of insurance compensation.

5.4.1. Upon the occurrence of an insured event, the policyholder/other authorized person immediately, but no later than 24 hours (except for delays in notification due to objective/honorable circumstances), contacts the information service/24-hour hotline of the insurer at the number: **+ (995 32) 2 24 15 24; (+995 32) 2 24 15 25**, which guarantees his connection with the relevant person or the organization of further services; The cost of services received without notification and agreement with the insurer is not subject to reimbursement.

5.5. სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში:

5.5.1. დაზღვეული ან სხვა დაინტერესებული პირი უკავშირდება მზღვეველის ცხელ ხაზს ან/და 112-ს;

5.5.2. დაზღვეულის მიერ მზღვეველის ინფორმირების შემდეგ, მზღვეველის ცხელი ხაზი თავის მხრივ უკავშირდება პროვაიდერ/კონტრაქტორ დაწესებულებას (სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადას), აღნიშნულ შემთხვევაში პროვაიდერი/კონტრაქტორი სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადისთვის სადაზღვევო პოლისისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისას დაზღვეული თავისუფლდება წინამდებარე სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის გადახდისგან;

5.5.3. დაზღვეულის მიერ სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება აღმოჩნდება მზღვეველის არაპროვაიდერი/არაკონტრაქტორი ან არ დაუკავშირდება 112-ს, დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს მზღვეველს მომსახურების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში. მზღვეველი იტოვებს უფლებას, არ აანაზღაუროს ის შემთხვევები, რომლის დოკუმენტების წარდგენა მოხდება ამ ვადის ამოწურვის შემდეგ.

- წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიღების შემდეგ, სადაზღვევო ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციას წარმოადგენს: სადაზღვევო პოლისი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მომსახურე დაწესებულების/ექიმის ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული ჩატარებული მომსახურების დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტაცია და გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია.
- ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით, თუმცა, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია წარმოადგინოს ორიგინალი დოკუმენტაცია.
- დაზღვეულის მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურების არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში, მზღვეველი იღებს გადაწყვეტილებას ანაზღაურების გაცემის შესახებ წინამდებარე პირობების შესაბამისად დაზღვეულის/დაინტერესებული პირის მიერ აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის და მზღვეველის მიერ შემთხვევის განხილვის მიზნით მოპოვებული საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის შეგროვების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად აღიარების/ანაზღაურების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევას ან გასცემს

5.5. When Emergency Medical Care, Ambulance is needed:

5.5.1. Insured / Policyholder (or an authorized third party) contacts the Information Service Center of Insurance Company or/and 112.

5.5.2. After the Insured informed the Insurance Company, the hotline, contacts to the supplier/contractor facility (Emergency Medical Service, Ambulance Team) Upon presentation of an insurance policy and an identification document to the provider/contractor ambulance team, the insured person is exempt from paying the amount stipulated by the insurance conditions for the corresponding service;

5.5.3. In case the the Insured calls the emergency ambulance team and the institution turns out to be a non-provider/non-contractor of the insurer or Policyholder does not contact number 112, the policyholder pays the amount of the service in full, and then, within 30 (thirty) calendar days from the date of receipt of the service, contacts the insurer for compensation. The insurer reserves the right not to reimburse expenses in cases for which documents are submitted after the expiration of this period.

- After the service is received, subject to this clause the required documents for reimbursement are: an insurance policy, an identity document, medical documentation confirming the service provided with the seal and signature of the service institution/doctor, as well as financial documentation confirming payment.
- The documentation required for reimbursement can be submitted electronically, however, upon request of the insurer, the policyholder is obliged to provide the original documentation.
- If the insured receives the services specified in these conditions in a non-providing medical institution, the insurer makes a decision to issue compensation based on the submission by the insured/interested person of the necessary documentation in accordance with these conditions and the necessary documentation collected by the insurer for the consideration of the event. Within 10 (ten) calendar days from the date of collection of the specified documentation, based on the decision to recognize the accident as an insured event/payment, the insurer is obliged to compensate for the insured event or issue a reasonable written refusal to recognize the insured event.

დასაბუთებულ წერილობით უარს სადაზღვევო შემთხვევის აღიარებაზე/ზიანის ანაზღაურებაზე.

5.6. სადაზღვევო შემთხვევის დროს საჭირო სამედიცინო ხასიათის (გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება; ძირითადი მედიკამენტები აფთიაქში; გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება; ინტენსიური თერაპია; გადაუდებელი ვაქცინაცია; გადაუდებელი სტომატოლოგია) მომსახურების მისაღებად:

5.6.1. დაზღვეული ან დაინტერესებული პირი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს (გარდა ობიექტური გარემოებების გამო შეტყობინების დაგვიანებისა). შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო, სავარაუდო დიაგნოზი. შეტყობინების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე მზღვეველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი.

➤ მზღვეველი პროვაიდერ / კონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებასთან აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამისი მომსახურებისთვის დაზღვევის პირობით გათვალისწინებული თანხის გადახდისგან ან იხდის მხოლოდ პოლისის პირობებით განსაზღვრულ, თანაგადახდით გათვალისწინებულ თანხას და ფრანშიზას.

5.6.2. მზღვეველის არაპროვაიდერ / არაკონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებაში მოხვედრისას:

➤ მზღვეველი იტოვებს უფლებას მოახდინოს დაზღვეულის გადაყვანა კონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებაში.

➤ დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას.

➤ სამედიცინო მომსახურების თანხის გადახდის შემდეგ, სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დაზღვეული მომსახურების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მზღვეველს წარუდგენს ანაზღაურებისათვის საჭირო შემდეგ დოკუმენტაციას: სადაზღვევო პოლისი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; მომსახურე დაწესებულების/ექიმის ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული ჩატარებული მომსახურების დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტაცია და გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია.

➤ გადაუდებელი სტომატოლოგიის შემთხვევაში, დაზღვეული დამატებით წარმოადგენს მომსახურების მიღებამდე და მას შემდეგ გადაღებულ დენტოგრამას.

➤ მზღვეველი იტოვებს უფლებას, არ აანაზღაუროს ის შემთხვევები, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო დოკუმენტაციის წარდგენა განხორციელდება შემთხვევის დადგომიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ.

5.6.3. უბედური შემთხვევის დადგომისას დამატებით საჭიროა შესაბამისი სამართალდამცავი

5.6. To receive medical services necessary during an insured event (Urgent Out-patient Care; Essential Medicines at Pharmacy Stores; Urgent In-patient Care; Intensive Care; Emergency Vaccination; Emergency Dental Services):

5.6.1. The insured or interested party is obliged to immediately contact the insurance company's hotline (except for delays in notification due to objective circumstances). The notification contains the following information: first name, last name, policy number of the Policyholder, name of the medical institution, time of referral in medical institution, probable diagnosis. Expenses for medical services received without notice are not subject to reimbursement.

➤ The insurer makes a direct settlement with the supplier/contractor medical institution, on the basis of which the policyholder is exempt from paying the amount stipulated in the insurance conditions for the relevant service, or pays only the amount determined by the policy, provided for co-payment and deductible.

5.6.2. When entering the Medical institution that is non-provider / non-contractor of the Insurance company:

➤ The insurer reserves the right to transfer the policyholder to a contractor medical institution.

➤ The policyholder pays the amount of the service.

➤ After payment for medical services, in order to receive insurance reimbursement, the insured shall, within 30 (thirty) calendar days from the date of receiving the service, submit to the insurer the following documentation required for reimbursement: Insurance policy; Identity document; Medical documentation confirming the provided service, certified with the seal and signature of the medical institution/doctor; Financial documentation confirming payment.

➤ In case of a dental emergency, in addition dentogram taken before and after the service is required to be provided by the Insured/Policyholder.

➤ The insurer reserves the right not to compensate for losses in cases for which documents are submitted after the expiration of 30 (thirty) calendar days after the insurance event.

5.6.3. In the event of an accident, appropriate documentation, provided by the relevant law enforcement agencies is additionally required to be provided to insurer.

ორგანოების მიერ გადაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის მზღვეველისთვის წარმოდგენა.

5.6.4. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

5.6.5. სადაზღვევო ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია შესაძლოა, წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული ფორმით, თუმცა, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, დაზღვეული ვალდებულია, წარმოადგინოს ორიგინალი დოკუმენტაცია.

5.6.6. დაზღვეულის მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში, მზღვეველი იღებს გადაწყვეტილებას ანაზღაურების გაცემის შესახებ წინამდებარე პირობების შესაბამისად დაზღვეულის/დაიტერესებული პირის მიერ აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის და მზღვეველის მიერ შემთხვევის განხილვის მიზნით მოპოვებული საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის შეგროვების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად აღიარების/ანაზღაურების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევას ან გასცემს დასაბუთებულ წერილობით უარს სადაზღვევო შემთხვევის აღიარებაზე/ზიანის ანაზღაურებაზე.

5.7. დაზღვეულისთვის **სასწრაფო დახმარების ბრიგადის მომსახურების** მისაღებად:

5.7.1. დაზღვეული ან დაინტერესებული პირი ვალდებულია, ადინშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველის ცხელ ხაზს (გარდა ობიექტური/საპატიო გარემოებების გამო შეტყობინების დაგვიანებისა). შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო, სავარაუდო დიაგნოზი. შეტყობინების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე მზღვეველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი.

5.8. დაზღვეულის **სამედიცინო ევაკუაციის** საჭიროებისას:

5.8.1. მზღვეველი უფლებამოსილია მოახდინოს დაზღვეულის სამედიცინო ტრანსპორტირება, დაზღვეულთან/დაზღვეულის უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით.

5.8.2. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი, მკურნალ ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე, შესაძლოა ჩათვლის დაზღვეულის სამედიცინო ტრანსპორტირებას და შესთავაზებს დაზღვეულს/დაზღვეულის უფლებამოსილ პირს, მაგრამ დაზღვეული/დაზღვეულის უფლებამოსილი პირი უარს იტყვის დაზღვეულის ტრანსპორტირებაზე და არ დადასტურდება, რომ ტრანსპორტირება საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მზღვეველი თავისუფლდება დაზღვეულის როგორც სამედიცინო, ასევე ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებისგან.

5.6.4. Depending on the specific event, the insurer has right to request additional documentation.

5.6.5. The documentation required for reimbursement Insurance event can be submitted electronically, however, upon request of the insurer, the policyholder is obliged to provide the original documentation.

5.6.6. If the policyholder receives medical services specified in these conditions in a non-provider medical institution, the insurer makes a decision on payment of compensation based on the submission by the policyholder/interested person of the necessary documentation in accordance with these conditions and the necessary documentation collected by the insurer for the consideration of the event. Within 10 (ten) calendar days from the date of collection of the specified documentation, on the basis of the decision to recognize the accident as an insured event / pay compensation, the insurer is obliged to compensate for the insured event or issue a reasonable written refusal.

5.7. To receive **Emergency / Ambulance Crew Service:**

5.7.1. The insured or an interested person is obliged to immediately notify the Insurance company's hotline (except for the delay in notification due to objective/honorable circumstances). The notification includes the following information: insured's name, surname, policy number, name of the medical institution, time of application to the medical institution, probable diagnosis. Expenses for medical services received without notice are not subject to reimbursement.

5.8. In case of **Medical Evacuation** of the insured:

5.8.1. The Insurer is authorized to provide medical Evacuation of the Insured in agreement with the Insured/Policyholder's authorized person.

5.8.2. In the event that the Insurer's medical expert group, based on consultation with the attending physician, considers medical transportation of the Insured as possible and offers it to the Insured/the authorized person of the Insured, but the Insured/the authorized person of the Insured refuses to transport the Insured and it is not proven that the transportation poses a threat to his life or health, The insurer shall be exempted from reimbursement of both medical and transportation expenses of the insured.

5.9. რეპატრიაციის საჭიროებისას:

5.9.1. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მზღვეველისათვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, გარდაცვალების ადგილი, იმ სამედიცინო დაწესებულების დასახელება, რომელიც ადასტურებს სიკვდილის ფაქტს.

5.9.2. მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, სავალდებულოა, წარმოდგენილ იქნეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, დადგინდეს სადაზღვევო პირობებთან შესაბამისობა.

5.9.3. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

5.9.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შემდეგ მზღვეველი აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას შესაბამის სტრუქტურებთან ამ პირობებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

5.9.5. შეტყობინების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე მზღვეველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი.

5.10. 18 წლამდე პირის დაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით, სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოსადგენია მშობლის / მუურვის / მზრუნველის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და 18 წლამდე პირის დაბადების მოწმობა / მუურვობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.11. მზღვეველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, დაზღვეული ვალდებულია გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა მითითებულ ექიმთან/სამედიცინო დაწესებულებაში.

6. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

6.1. მზღვეველი უფლებამოსილია:

6.1.1. უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დამზღვევის ან/და დაზღვეულის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

6.1.2. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების შემთხვევაში, ასევე მოითხოვოს ამ ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან/და წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა;

6.1.3. დამზღვევი/დაზღვეული დაზღვევის პოლისის გაფორმებისას მზღვეველს ანიჭებს უფლებამოსილებას დამზღვევთან/დაზღვეულთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გამოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად საჭირო სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია. ასევე მოიპოვოს შესაძლებელი პირთაგან (ექიმები, ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება, სატრანსპორტო სამსახური და სხვ.) საჭირო ინფორმაცია ან სხვა შესაძლებელი პირებისგან მიიღოს დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია; და გაათავისუფლოს უკანასკნელი პირები, წინამდებარე

5.9. When repatriation is needed:

5.9.1. The following information must be provided to the insurer: the Policyholder's name, surname, policy number, place of death, name of the medical institution that confirms the fact of death.

5.9.2. At the request of the insurer, it is mandatory to provide a forensic medical examination report, on the basis of which it will be possible to determine compliance with the insurance conditions.

5.9.3. Depending on the event specification, the insurer has right to request additional documentation.

5.9.4. After receiving the information/documentation described in this article, the insurer makes a direct settlement with the relevant structures within the limits established by these terms.

5.9.5. The insurer is entitled to refuse reimbursement of expenses for medical services received without prior notification.

5.10. When the policyholder is under 18 years of age, in order to receive insurance compensation, among other documents, it is necessary to provide an identification document of the parent/guardian/trustee and a birth certificate of a person under 18 years of age/document confirming guardianship.

5.11. At the request of the insurer, the policyholder is obliged to undergo a medical examination by the specified doctor/medical institution.

6. Rights and obligations of the parties:

6.1. The Insurer has right:

6.1.1. To refuse to issue insurance compensation in the event of non-fulfillment or failure by the Policyholder and/or Insured to fulfill obligations under this agreement;

6.1.2. To refuse to issue insurance compensation upon the occurrence of an insured event and/or in the event of falsification of documents necessary to receive compensation, as well as to demand compensation for losses caused by this action and termination of this contract;

6.1.3. When signing an insurance policy, the Policyholder/Insured grants the Insurer the right to request medical and financial documentation from any medical institution without additional approval from the Policyholder/Insured. also obtain the necessary information from third parties (doctors, any medical institution, transport service, etc.) or obtain any information related to the situation from other third parties; and release the latter persons for the purposes specified in this Agreement from the obligation to maintain confidentiality of information;

ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისთვის, ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულებისაგან;

6.1.4. ნებისმიერ დროს შეცვალოს / პროვაიდერთა სიიდან ამოიღოს / დაამატოს პროვაიდერი;

6.1.5. მოსთხოვოს დამზღვევეს/დაზღვეულს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

6.1.4. to change/remove Provider from the Provider list/or add the Provider any time

6.1.5. to require the Insured/policyholder to fulfill the obligations in due course.

6.2. მზღვეველი ვალდებულია:

6.2.1. განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე პირობების შესაბამისად.

6.3. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია:

6.3.1. ხელი შეუწყოს მზღვეველს, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები, შემთხვევის განხილვის ან/და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მიზნით, აღნიშნული სამედიცინო დოკუმენტაციის სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ვალდებულებების შესრულებაზე.

6.3.2. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;

6.4. დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია:

6.4.1. მოსთხოვოს მზღვეველს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

6.2. The Insurer is obliged:

6.2.1. carry out insurance in accordance with these conditions.

6.3. The Insured/Policyholder is Obligated:

